ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2026 წლის 27 მარტი

ქ. ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №24 დადგენილებაში (ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, 01/06/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.138.016470) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **საბა კბილაშვილი**

დანართი №3

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული პოზიციების ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები		
1	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე	3500
2	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მდივან-რეფერენტი	2080
3	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის მდივან-რეფერენტი	1920
4	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირადი მძღოლი	2080
5	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მორიგე მძღოლი	1650
6	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მორიგე მძღოლი	1650
7	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის პირადი მძღოლი	1650
8	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის განყოფილებაზე მიმაგრებული მორიგე მძღოლი	1650
9	ინფრასტრუქტურის პროექტების დაგეგმარებაზე პასუხისმგებელი პირი	3080
10	ფინანსურ მონაცემთა ბაზაზე პასუხისმგებელი პირი	3500
11	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	1320

12	ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი	1815
13	იმუნიზაციის, ჰეპატიტების, ლოჯისტიკისა და სკრინინგის მართვის მოდულზე პასუხისმგებელი პირი	1575
14	ავტოპარკის ზედამხედველი	1485
15	ოპერატორი	1815
16	ოპერატორი	1815
17	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	880
18	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	880
19	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული ღონისძიებების საკითხებზე პასუხისმგებელი პირი	3300
20	ტელეოპერატორი	2090
21	მემონტაჟე	2500
22	ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით პასუხისმგებელი პირი	3190
23	ღონისძიებების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირი	2000